ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №856519

ნომერი: AR1152684

გაცემის თარიღი : 11.09.2013

გაცნობის თარიღი : 11.09.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი თხინვალა ; ქალაქი თბილისი , სოფელი თხინვალა ;

თარიღი : 06.08.2013

დამკვეთი-განმცხადებელი
• ომარ ჯაფარიძე პ/ნ 01024053648
• თბილისი ვ.დოლიძის ქ. კორ. 1 ბ. 2
ნომენკლატურა :

• ქალაქგეგმარება
• ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ თქვენი საკითხი განხილული იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2013 წლის 15 აგვისტოს #32 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: #72.16.15.565–და მის მიმდებარედ), სასაფლაოს განთავსების მიზნით ფუნქციური ზონის სტატუსის – სასოფლო–სამეურნეო ზონის სპეციალური ზონა 2–ით ცვლილებას ეთქვა უარი. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.